პოლონეთის დახმარება

კათოლიკური არქიეპარქიის კავშირი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის

01-441-ვარშავა, დეოტიმის ქ. 41, ტელ/ფაქსი 22 837 42 61, e-mail: ksnaw@ksnaw.pl, www.ksnaw.pl

ვარშავის კათოლიკური არქიეპარქიის კავშირი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის

ეს არის ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს (ძირითადად ფსიქიკური უნარშეზღუდვით), მათ მშობლებს, მეგობრებსა და ვოლონტიორებს; დაარსებული 1995 წელს და დამტკიცებული პრიმასის დეკრეტით 1995 წლის 2 თებერვალს. ორგანიზაციას გააჩნია საეკლესიო და საზოგადოებრივი კავშირის სტატუსი, ხოლო 2004 წლის შემდეგ მას გააჩნია საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის მოქმედი ორგანიზაციის სტატუსი.

PRYMAS POLSKI

Nr 364/D/95

Dekret

Uwzględniając potrzeby duchowe i kulturalne Niepełnosprawnych w Archidiecezji Warszawskiej jak też mając na uwadze troskę o ich sprawy egzystencjalne, niniejszym, mocą przysługującej mi władzy, eryguję Katolickie Stowarzyszenie Niepełnosprawnych Archidiecezji Warszawskiej wyznaczając na siedzibę Dom Parafialny Parafii Świętego Józefa Oblubieńca Najświętszej Maryi Panny w Warszawie na Kole przy ulicy Deotymy 41 - z zachowaniem obowiązujących przepisów prawa kanonicznego i cywilnego.

Warszawa, w Święto Ofiarowania Pańskiego, dnia 2 lutego 1995 roku.

+ Józef Kardynał Glemp
Prymas Polski

Kanclerz Kurii

Ks. Grzegorz Kalwarczyk

წარმოვადგენთ ერთ-ერთი იშვიათი ორგანიზაციის ტიპს, რომელიც კომპლექსური მიდგომით, ცდილობს გადაჭრას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრობლემები ჩვილი ბავშვობიდან მოხუცებულ ასაკამდე.

ჩვენი საზოგადოების მოღვაწეობის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1987 წელი, როდესაც წმ. იუზეფის სახელობის ეპარქიაში დაარსდა „განსაკუთრებული ზრუნვის ოჯახი“. ამ კავშირმა მოახერხა სხვადასხვა ტიპის უნარშეზღუდვის მქონე პირთა შეკრება. კავშირის მიზანს წარმოადგენდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დახმარების გაწევა ეპარქიის ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად (კატახეტებთან კავშირი, საკრამენტის მიღების საშუალება, ლიტურგიაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა). ორგანიზაციის დახმარებით დაინტერესებული პირების რაოდენობამ იმატა (მათ შორის იყვნენ გადაადგილების პრობლემების მქონე პირები). ამის გამო, აუცილებელი გახდა უფრო კომპლექსური მიდგომა და სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც საშუალებას მისცემდა ორგანიზაციას გადაეჭრა უფრო რთული პრობლემები. ამისათვის მოხდა საკანონმდებლო სტატუსის მინიჭება და დაფინანსების წყაროების მოძიება.

იურიდიულ ცვლილებებთან ერთად, მოხდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიდგომის წესების ცვლილებაც. ამის წყალობით, გაჩნდა სამოქალაქო საზოგადოების ამ პროცესებში ჩართვის საშუალება.

- 1989 წლის 7 აპრილის **დადგენილება** საზოგადოებრივი კავშირების შესახებ
- 1989 წლის 17 მაისის **დადგენილება** სახელმწიფოს ეკლესიისადმი მიდგომის შესახებ
- 1991 წლის 9 მაისის **დადგენილება** შეზღუდული შესაძლებლობის პირთა რეაბილიტაციის სპეციალისტების დასაქმების შესახებ.
- 1997 წლის 27 აგვისტოს **დადგენილება** საზოგადოებრივი და პროფესიული რეაბილიტაციისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების შესახებ.
- 2003 წლის 24 აპრილის **დადგენილება** ვოლენტარიატისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის მიმართული სამუშაოების შესახებ.

ვარშავის არქიეპარქიის კავშირის შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის განკუთვნილი სამეცადინო თერაპიის განყოფილება დაარსდა 1995 წელს დეოტიმის ქუჩის 41 ნომერში.

შვიდ სახელოსნოში 35 ფსიქიურად უნარშეზღუდული პირი, თერაპევტების ზედამხედველობით, ქმნის აფსოლიტურად უნიკალურ და მშვენიერ ნივთებს, მონაწილეობს სარეაბილიტაციო და სასწავლო გაკვეთილებში, ითვისებს სამოქალაქო და პროფესიულ უნარებს.

ვარშავის არქიეპარქიის კავშირის შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის განკუთვნილი თერაპიის განყოფილება დაარსდა 1996 წელს მოდჟევიოვას ქუჩის 2 ნომერში.

სამეცადინო თერაპიის განყოფილება არის დღის საათებში მოქმედი დაწესებულება, რომელშიც რეაბილიტაციას გადიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრული ადამიანები საზოგადოებასა და სამუშაო ბაზარზე ადგილის დამკვიდრების მიზნით. თერაპიაში მონაწილეობას იღებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **51 პირი,** რომელთა ასაკი აღემატება 18 წელს და გააჩნიათ მიმართვა ამგვარ მეცადინეობებში მონაწილეობისათვის.

ვარშავის არქიეპარქიის კავშირის შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის განკუთვნილი თერაპიის განყოფილება დაარსდა 1997 წელს კაროლკოვის ქუჩის 71 ნომერში.

ეს არის, 45 ფსიქიური უნარშეზღუდვის მქონე პირისათვის განკუთვნილი დაწესებულება. დაწესებულების შენობა სრულად მორგებულია ინვალიდის სავარძელში მჯდომი პირების მოთხოვნებზე.

ჩვენს ქვეშევრდომებთან ერთად მუშაობს 9 სპეციალისტი 9 სხვადასხვა აუდიტორიაში და ფსიქოლოგი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კათოლიკური არქიეპარქიის კავშირის სარეაბილიტაციო-თერაპიის განყოფილება ბლიზნემში დაარსდა კოპერნიკის ქუჩის 10 ნომერში 2001 წელს.

ბლიზნემის განყოფილება დაარსდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მშობლების ინიციატივითა და ქალაქ სტარე ბაბჩეს დახმარებით. ფილიალი მოქმედებს ვარშავის კათოლიკურ არქიეპარქიასთან ერთად. ეს არის ერთადერთი დაწესებულება რაიონის მასშტაბით, სადაც ხდება ბავშვებისათვის გათვლილი თერაპიის ჩატარება. დღესდღეობით, ამ ფილიალის მომსახურეობით სარგებლობს ეპილეფსიით, აუტიზმით, მუტიზმით დაავადებული და ძლიერი ფსიქიური უნარშეზღუდვის მქონე დაახ. 30 ბავშვი. ყოველი მათგანისათვის, კვალიფიციური პერსონალის მეთვალყურეობით, ხდება ინდივიდუალური მეცადინეობების შემუშავება.

ვარშავის არქიეპარქიის კავშირის შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის განკუთვნილი თერაპიის განყოფილება დაარსდა სპაცეროვას ქუჩის 1ა ნომერში 2001 წელს.

განყოფილებას მიენიჭა, ფსიქიურად და ფიზიკურად უნარშეზღუდული ზრდასრული პირების თერაპიული და სარეაბილიტაციო ცენტრის სტატუსი. მეცადინეობებში მონაწილეობას ირებს 30 ადამიანი. თერაპიის რეალიზაცია ხდება ყოველ პაციენტზე ინდივიდუალურად მორგებული მეცადინეობების საშუალებით.

რეაბილიტაციისა და მზრუნველობის სახლი დაარსდა მილანოვსკში, პისატას ქუჩის 5 ნომერში 2001 წელს.

გათვლილია ფსიქიური უნარშეზღუდვის მქონე ზრდასრულ 54 ადამიანზე. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გვესტუმრონ, დროებით დარჩნენ ჩვენთან ან დასახლდნენ სამუდამოდ. მაცხოვრებლებისათვის ხელმისაწვდომია ერთ და ორ კაციანი ოთახები, რომლებიც განთავსებულია შენობის 3 სართულზე (შენობაში არის ლიფტი). შენობა სრულად მორგებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მოთხოვნებზე. მაცხოვრებლებისათვის ხელმისაწვდომია შემდეგი მომსახურეობები: თერაპევტის მომსახურეობა, რეაბილიტაცია, ფსიქოლოგისა და მედდის მომსახურეობა, ინდივიდუალური მოვლა. აღნიშნული პროცედურები ხორციელდება სპეციალურად მომზადებულ ოთახებში.

•კათოლიკური არქიეპარქიის კავშირის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის განკუთვნილი საკუთარი თავის მოვლის სახლი დაარსდა 2005 წელს პოდლასკე ლეშნეს ბლონისკეს ქუჩის 46/48 ნომერში.

საკუთარი თავის მოვლის სახლი არის დღის საათებში მოქმედი ბ ტიპის დაწესებულება, რომელიც გათვლილია ფსიქიურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 30 ზრდასრულ პირზე. ამ დაწესებულების ძირითად მიზანს წარმოადგენს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა იმ უნარების ამაღლება, რომლებიც დაეხმარება მათ დამოუკიდებელ ცხოვრებაში.

•შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კათოლიკური არქიეპარქიის კავშირის სამეცადინო თერაპიის განყოფილება დაარსდა 2013 წელს კალვარიის გურაში კს. საინის ქუჩის 4 ნომერში.

თვითმმართველობასთან ეფექტური თანამშრომლობის წყალობით მოხერხდა სამეცადინო თერაპიის განყოფილების ფილიალის გახსნა კალვარიის გურაში. ფილიალში მოქმედ სამ ჯგუფში მუშაობს კალვარიის გურის მაცხოვრებელი 15 ადამიანი/

მოქმედებები

- **საინტეგრაციო წირვა**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კათოლიკური არქიეპარქიის კავშირის დაარსების დღიდან, ყოველ ორ კვირაში ერთხელ დეოტიმის ქუჩის 41 ნომერში არსებული წმ. იუზეფის სახელობის ეკლესიაში ტარდება საინტეგრაციო წირვა. მასში მონაწილეობას იღებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. წირვის დროს, აღნიშნული პირები კითხულობენ ლოცვებს და მღერიან ფსალმუნებს. წირვის დამთავრების შემდეგ შესაძლებელია ჩაისა და ნამცხვრის დაგემოვნება და ამავდროულად საინტერესო პიროვნებების მოსმენა.

- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მსვლელობა**

1992 წლიდან ყოველწლიურად, 5-15 აგვისტოს, ვარშავიდან იასნა გურას მიმართულებით იმართება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რელიგიური მსვლელობა. ერთადერთი საეკლესიო მსვლელობა პოლონეთის მასშტაბით, რომლის გზაც სრულადაა მორგებული ინვალიდის სავარძელში მჯდომი პირების მოთხოვნებზე.

- **საინტეგრაციო ქუჩა**

ამგვარ სახელს ატარებს ვარშავაში მდებარე დეოტიმის ქუჩაზე ყოველწლიურად ორგანიზებული ღონისძიება. ღონისძიების ფარგლებში ხდება სკოლებში, უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში, თერაპიულ დაწესებულებსა და კულტურის სახლებში მოსწავლე ბავშვების და ახალგაზრდების შეკრება ამ ქუჩაზე, რათა ჯანმრთელმა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებმა შეძლონ ერთად გართობა.

მოქმედებები

პოლონური ბეთლემი

ყოველწლიურად ორგანიზებული ღონისძიება „პოლონური ბეთლემი - კეთილშობილების არსი”, რომელიც ქრისტეს შობის დღესასწაულის დროს ტარდება სკოლებში, კულტურის სახლებსა და ეკლესიებში.

დასასვენებელი და სარეაბილიტაციო ტურები

მოგზაურობა ოჯახთან ერთად, ექსკურსიები, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო საეკლესიო მსვლელობები.

ვოლონტარიატი

ვოლონტიორებთან თანამშრომლობის დარეგულირება მოხდა 2003 წელს ვოლონტარიატის შესახებ დადგენილებით.

ვოლონტიორების ფუნქციას ასრულებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კათოლიკური არქიეპარქიის კავშირის თანამშრომლები, საეკლესიო მსვლელობებსა და ტურებში მონაწილე პირები, სტუდენტები და ის ადამიანები, რომელთაც სურთ ჩვენს გვერდში დგომა თავისუფალ დროს.

ძირითადად ეს არიან ახალგაზრდები: საშუალო სკოლების მოსწავლეები, სტუდენტები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მშობლები. არიან ასევე ზრდასრული და

მოხუცებული ადამიანებიც.

დაფინანსების წყაროები

PFRON

სახელმწიფო ბიუჯეტი

PCPR

რწმუნებული

რაიონული ცენტრებისა და ქალაქების მერია

რეგიონალური თვითმმართველობები

სამარშალოები

ფონდები

კერძო და ინსტიტუციონალური სპონსორები

სიცუალური დახმარების სახლი ვარშავის ეპარქიის შშმ პირთა კათოლიკური ამხანაგობა

05-840 ბრვინუვ ქ. ვიოსენნა 21

- სახლი გათვლილია 50 ინტელექტუალურად შშმ პირზე. შენობის ერთ- და ორკაციანი ოთახები განთავსებულია ორ სართულზე. ყველა ოთახშია შშმ პირთათვის ადაპტირებული აბაზანა.
- საცხოვრებელი ოთახები სუფთა და ესთეტიკურია, ძირითადი ავეჯით, საგანგაშო ღილაკის - მედდასთან დარეკვის სისტემით და ასევე ხანძრსაწინააღმდეგო სისტემით.
- სახლში არის ასევე დღის (დასასვენებელი) ოთახი, სამლოცველო, პირველი დახმარების სამედიცინო კაბინეტი, თერაპიული და სარეაბილიტაციო ოთახები, სამზარეულო, სამრეცხაო, გასარეცხი და გასაშრობი ოთახი და მისაღები ოთახები.
- სახლი მდებარეობს ერთოჯახიან სახლების მეზობლად, ჩუმ და წყნარ გარემოში. აქვს საკუთარი დიდი ბაღი, რომელშიც მაცხოვრებლები სასიამოვნო დროს ატარებენ ზაფხულის პერიოდში. სახლი და გარემო არის არქიტექტურული ბარიერების გარეშე.



სახლში მაცხოვრებლებს აქვთ ოჯახური გარემო და თითოეული მათგანის განვითერებისათვის საჭირო პირობები. ყოველდღიური ფუნქციონირების და თერაპიული მეცადინეობების დროს, რომლებიც ყოველდღიურად ტარდება, ჩვენ მხარს ვუჭერთ მონაწილეთა შემეცნებითი, საზოგადოებრივი და პირადი უნარების განვითარებას. მაცხოვრებლები უზრუნველყოფილნი არიან რეაბილიტაციური და ჰიპოთერაპიის მეცადინეობებით. მაცხოვრებლებს ასევე ვუწევთ ემოციურ და ფსიქოლოგიურ დახმარებას.

<u>ხელნაკეთი ნივთების სახელოსნოში</u> მაცხოვრებლებს შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი უნარები ხელოვნების დარგში. ქაღალდზე, ტილოზე, ნაჭერზე, მუყაოზე ფანქრებით და ფუნჯით ქმნიან ხელოვნების მცირე ნაშრომებს. ამზადებენ ასევე სადღესასწაულო ან მოსაწვევ ბარათებს. მათ მიერ შექმნილი ნამუშევრები ამშვენებენ სახლს, ასევე ვჩუქნით ჩვენს ახლობლებს.

იმისათვის, რომ ბენეფიციარმა მიიღოს მონაწილეობა ხელნაკეთი ნივთების სახელოსნოს მეცადინეობებში არ არის საჭირო ჰქონდეს სამხატვრო ნიჭი. სურათების, სადღესასწაულო ბარათების შექმნას აქვს თერაპიული ხასიათი. ეხმარება მონაწილეებს პრობლემების და კონფლიქტების დაძლევაში, ანვითარებს მათ ინტერპერსონალურ უნარებს, ასწავლის თუ როგორ უნდა მართოს საკუთარი ქცევა, შეამციროს სტრესი, აწიოს თვითშეფასება.

SC 12
Sailing Crew

<u>ინფორმატიკის სახელოსნო</u> ეს ადგილია, სადაც მონაწილეები სწავლობენ კომპიუტერზე მუშაობას, პროგრამებს, მათ გამოყენებას საკუთარი საჭიროებების მიხედვით. ხშირად სწავლობენ წერას კომპიუტერული თამაშების მეშვეობით. ჩვენ ვაძლევთ ინტერნეტის გამოყენების საშუალებას, ისინი გზავნიან მეილებს ოჯახებს და მეგობრებს. ინტერნეტის მეშვეობით შეუძლიათ გადაინაცვლოს ისეთ ადგილებში, სადაც ჩვეულებრივ არ მოხდებოდნენ. ძალიან უყვართ მოგზაურობის ასეთი ფორმა.





SAMSUNG
PIERS!

<u>ჰიპოთერაპია</u> – ფსიქო-მოტორული რეაბილიტაცია. ამ მეცადინეობებს ვატარებთ საკუთარი ცხენების მონაწილეობით. გვყავს ოთხი პოლონური ჯიშის ცხენი, რომლებიც ძალიან გვეხმარებიან თერაპიის ამ ფორმაში. ჰიპოთერაპია წარმოადგენს სამედიცინო რეაბილიტაციის ერთ-ერთ ელემენტს, რომელსაც ჩვენთან ატარებენ ინსტრუქტორები. მისი მიზანია შეძლებისდაგვარად აღადგინოს ავადმყოფის ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობა. ეს ბენეფიციარების ერთ-ერთი საყვარელი მეცადინეობაა. კონტაქტი ცხოველებთან სუფთა ჰაერზე იზიდავს უამრავ მსურველს.



დიდი ინტერესით სარგებლობს ასევე ფაეტონით გასეირნება, რომლითაც მივემგზავრებით დამეგობრებულ ორგანიზაციებში ან ახლომდებარე დასახლებული პუნქტების მოსანახულებლად. ეს ჰიპოთერაპიის მშვენიერი ჩანართია, რომელიც კარგად ადუნებს და ამშვიდებს ადამიანს. ხშირად ვართ მოწვეულნი თვითმმართველობის ან სამრევლოსთვის ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, სადაც ჩვენი ცხენები და ფაეტონი დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

<u>სარეაბილიტაციო დარბაზი</u> ეს კიდევ ერთი ადგილია, სადაც ბენეფიციერებს შეუძლიათ მიიღონ პროფესიული სარეაბილიტაციო დახმარება. მეცადინეობები ტარდება როგორც ჯგუფებთან, ზოგადი მდგომარეობის გამოსასწორებლად, ასევე ინდივიდუალურად. მონაწილეებს შეუძლიათ გამოიყენონ: გიმნასტიკური კიბეები, ლეიბები, სავარჯიშო ველოსიპედები, კაბინები UGUL აქსესუარებით, მასაჟის მაგიდა და სხვა წვრილმანი სარეაბილიტაციო საშუალებები, მაგ. სამედიცინო ბურთი. ამ მეცადინეობებში მონაწილეობის მიღება ძალზედ მნიშვნელოვანია, რათა ბენეფიციარებს აძლევს ემოციური განტვირთვის, სხვა მეცადინეობებისაგან დასვენები საშუალებას. მათ შეუძლიათ შეასრულონ ფიზიკური, გიმნასტიკური და ასევე სხეულის მოტორიკის განვითარებისათვის აუცილებელი ვარჯიშები.

<u>კულტურულ-საგანმანათლებლო მეცადინეობები</u> სახლში - ეს სხვა ადამიანის ცხოვრების შესახებ ცოდნის გაფართოვების საუკეთესო საშუალებაა. ეს ასევე წარმოადგენს ადგილობრივ საზოგადოებასთან კონტაქტების გაძლიერების საშუალებაა, რომელიც ხდება სხვა ადამიანებთან შეხვედრის და კონცერტების/გამოსვლების ჩატარების დროს. აქ ხდება ინტერესების ჩამოყალიბება, სხვადასხვა საზოგადოებრივ სიტუაციებში თავის გართმევა. ეს არის საუბრის, თამაშის და ტელევიზორის ყურების დრო.

ჩვენ ვღებულობთ მონაწილეობას საზოგადოებრივ კულტურულ ცხოვრებაში და ასევე თვით ვატარებთ მსგავსს კულტურულ ღონისძიებებს სახლის ტერიტორიაზე. სახლის მაცხოვრებლები დიდი სიამოვნებით ღებულობენ მონაწილეობას ასეთ ღონისძიებებში და ერთვებიან მათ მომზადებაში.

სურათებზე ასახულია ქრისტეს წამების სცენები.

პოლონური ბეთლემი. ერთ-ერთი კულტურული ღონისძიება, რომელშიც წლების განმავლობაში ვღებულობთ აქტიურ მონაწილეობას, არის საშობაო დადგმა „პოლონური ბეთლემი“. ეს არის მხატვრულ-პატრიოტული სასულიერო ხასიათის წარმოდგენა, რომელიც იმართება სამეზობლო სამრევლოებში, კულტურის ცენტრბში და ყველგან იქ, სადაც გვიწვევენ.

ბენეფიციარებს ძალიან უყვართ ჩართულობა მხატვრულ ღონისძიებებში.

ვღებულობთ აქტიურ მონაწილეობას სპორტულ ღონისძიებებში.

<u>ფიზიკური აქტივობა</u> წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს ინტელექტუალური შშმ პირებისათვის, ამიტომ ვცდილობთ გამოვიყენოთ ყველა საშუალება და შევთავაზოთ ჩვენს მაცხოვრებლებს მოძრავი აქტივობების საშუალება.

სურათებზე ასახულია ჩვენი მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებში.

BROKSNAW

ვღებულობთ მონაწილეობას სამხატვრო კონკურსებში და ვღებულობთ მრავალ დიპლომს და ჯილდოს. ჩვენი ნამუშევრები ღებულობენ მონაწილეობას გამოფენებში, ბაზრობებში. ასევე ამშვენებენ თვითმმართველობის, ეკლესიის ან სხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ კულტურულ ღონისძიებებს.

სახლში მუდამ სიცოცხლე ჩქეფს. დღესასწაულებზე ან სხვა მნიშვნელოვან თარიღებში ვეპატიჟებით მშობლებს, მეურვეებს და დამეგობრებულ ორგანიზაციებს. ვატარებთ მეჯლისებს, გასართობ ღონისძიებებს, წარმოდგენებს. ეს ახლობლებთან სასიამოვნო ატმოსფეროში გასატარებელი მშვენიერი დროა.

Hodně štěstí

მრავალი ჩვენი მაცხოვრებელი ღებულობს მონაწილეობას სხვა თერაპიული ცენტრების მეცადინეობებშიც. ხშირ შემთხვევაში ეს ოკუპაციური თერაპიის ცენტრის სახელოსნოებია, სადაც ჩვენი ბენეფიციარები დამატებითად ანვითარებენ ყოველდღიური ცხოვრებისათვის და ასევე პროფესიასთან დაკავშირებულ საჭირო უნარებს, რის შედეგადაც მომავალში მათ შეუძლიათ მუშაობის დაწყება. გვყავს ისეთი მაცხოვრებლები, რომლებსაც უკვე მუდმივი სამუშაო აქვთ.

პოლონეთის დახმარება

The Project co-financed by the Polish development cooperation programme of the Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland.